ბრძანება:**ბ24.242209418**

თარიღი:**04/04/2022**

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის, საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ“ 122-ე და 123-ე მუხლების, საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსი“ 52-ე და 61-ე მუხლების და „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 6 სექტემბრის N31 დადგენილების შესაბამისად:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის შინაგანაწესი დანართი N1-ის შესაბამისად.
2. ამ ბრძანების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 21 თებერვლის N512 ბრძანება.
3. დაევალოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის და პროტოკოლის განყოფილებას ბრძანების ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ვებ-გვერდზე (http://zugdidi.mun.gov.ge/) გამოქვეყნება.
4. საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ 123-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად ბრძანების ასლი გადაეგზავნოს საქართველოს საჯარო მოსამსახურეთა პროფესიულ კავშირს.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის. ქ. ზუგდიდი, რ. ლაღიძის ქ. №12).

მამუკა წოწერია

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი